# სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | შპს „სკოლა-გიმნაზია პირველი“ |
| საიდენტიფიკაციოკოდი | 243571639 |
| რეგიონი | თბილისი |
| რაიონი | ვაკე-საბურთალო |
| მისამართი | არდაზიანის ქუჩა 8 |
| საფოსტოინდექსი | 1060 |
| დაწესებულებისვებ-გვერდი | http://school-pirveli.edu.ge |
| დაწესებულებისელ-ფოსტა | School-pirveli@mail.eu |
| ტელეფონი/ფაქსი | 2952134 574811177, 577979421 |
| დაწესებულების ხელმძღვანელი | |
| სახელიდაგვარი | ნინო ოქროჯანაშვილი |
| ტელეფონი | 574811177 |
| ელ-ფოსტა | School-pirveli@mail.eu |
| დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა | |
| პედაგოგი | 27 პედაგოგი |
| სერტიფიცირებულიპედაგოგი | 6 უფროსი და 21 პრაქტიკოსი მასწავლებელი. |
| მოსწავლე/სსსმმოსწავლე | ამჟამად ირიცხება 8 მოსწავლე |
| მოსწავლეთა რაოდენობა | ამჟამად სწავლობს 156 მოსწავლე |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | |
| გადაწყვეტილებისნომერი | N 51 |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 219 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

# სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულება ახორციელებს

- ■ დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- ■ საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- ■ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- ☐ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

**ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ**

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 30.05. 2018 წლის N439ბრძანების საფუძველი |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | **ჯგუფის თავმჯდომარე:** თამარ ამზაშვილი(ექსპერტი)<br>**მონიტორინგის ჯგუფის წევრები:** ნინო ბალანჩივაძე (ექსპერტი) |
| ვიზიტის განხორციელების პერიოდი | 12.06.20018-14.06. .2018 |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 21.06.2018 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

<table>
<tr><td>აღწერა</td><td>შპს -„სკოლა-გიმნაზია პირველის“ -ს ადმინისტრაციამ(შემდგომში სკოლა) წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ, 2017 წლის 5 სექტემბრერს დამტკიცებული 2017-2018 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისგან:<br>• მისია, ხედვა;<br>• სკოლაში სამუშაო პირობები და სასწავლო დღის განრიგი;<br>• 2017-2018 სასწავლო წლის სამუშაო კალენდარი;<br>• საათობრივი ბადე;<br>• სკოლის მიერ არჩეული სახელმძღვანელოების ჩამონთვალი;<br>• შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გთვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურეობის ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>• კლასის დამრიგებლის დებულება;<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები;<br>• ინკლუზიური განათლება;<br>• კათედრები;<br>• კლასგარეშე ღონისძიებები;<br>სკოლა ჩართულია პროგრამაში „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ და ამ პროგრამის ფარგლებში ჩინელი მისიონერი კვირაში ორჯერ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ მსურველებს ასწავლის ჩინურ ენას.<br>ინკლუზიური განათლების ზოგადი დებულების მიხედვით პროგრამაში დაკონკრეტებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 8 სსსმ მოსწავლითვის. .ასევე, სკოლაში სწავლობს არაქართულენოვანი, უცხო ქვეყნის 18 მოქალაქე, რომლებსაც სკოლა დღის მეორე ნახევარში, სთავაზობს ქართულის როგორც</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | მეორე ენის სწავლებას დონეების მიხედვით და პარალელურად ქართულ ენაზე სასკოლო გეგმით გათვალისწინებული სხვა საგნების ათვისებას.<br>მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების პრინციპები მოიცავს სკოლაში დანერგილ შეფასების მიდგომებს, საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალური ბარიერის განსაზღვრას, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის პროცედურას, სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების პრინციპებს;<br>დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა გულისხმობს ყველა კლასისათვის კლასის დამრიგებლის შერჩევას და მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრას;<br>სავალდებულო სასწავლო სახელმძღვანელოების ნუსხა სრულად მოიცავს სწავლების სამივე საფეხურის ყველა კლასსა და დონეს.<br>სპორტის სახეობებიდან სკოლას შერჩეული აქვს ჭადრაკი, კარატე და ლათინო ამერიკული ცეკვები.<br>არჩევით საგნად სკოლაში ისწავლება: ხელოვნების თეორიულ-პრაქტიკული კურსი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პრაქტიკული კურსი, ხელოვნების ისტორია.<br>სკოლის სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| დადასტურება /დანართი | 1. სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. ინტერვიურება; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების თავი I, მუხლი მე-2, პუნქტი მე-3, თავი II, მუხლი მე-3, პუნქტი ა,ბ. |

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო და სავალდებულო |

| | |
|---|---|
| | არჩევითი საგნების შესაბამისად სკოლის საგნობრივი კათედრების მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ ე.წ. თემატურ-კალენდარული გეგმები, რომლებითაც დასტურდება არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შინაარსით სწავლება.<br>სკოლაში **156 მოსწავლიდან 18 არაქართულენოვანი,** უცხო ქვეყნის მოქალაქეა. მათი უმეტესობა ვერ ფლობს სათანადოდ ქართულს. ამიტომ, გახანგრძლივებული დღის რეჟიმში, მათთან მუშაობენ პედაგოგები ინდივიდუალური სამოქმედო გეგმით.<br>ოთხი წელია სკოლა ჩართულია პროგრამაში „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად". ამ პროგრამის ფარგლებში ჩინელი მისიონერი კვირაში ორჯერ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ მსურველებს ასწავლის ჩინურ ენას.<br>სკოლამ გაითვალისწინა წინა მონიტორინგის ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაცია და ენების სწავლა/სწავლებისა და შეფასებისათვის, საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოს მიზნებიდან გამომდინარე, შეიმუშავა სათანადო პროგრამა, რომლის მიხედვითაც ახორციელებს ქართულის როგორც მე-2 ენის სწავლებას.<br>რაც შეეხება სასკოლო სასწავლო გეგმას: ამჟამად ფუნქციონირებს 7 კათედრა:<br>1. დაწყებითი საფეხური ( I-IV კლ.)<br>2. ქართული ენა და ლიტერატურა<br>3. მათემატიკა და ისტ;<br>4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;<br>5. საზოგადოებრივი მეცნიერებები;<br>6. შრომითი და ესთეტიკური აღზრდა(სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება);<br>7. უცხოური ენები (ინგლისური, რუსული)<br>საგნობრივი კათედრების მიერ წარმოებული პორტფოლიო მოიცავს კათედრების დებულებას, კათედრის სამუშაო გეგმას, შეფასების სქემებს კომპონენტების მიხედვით, კათედრის სხომის ოქმებს, შემაჯამებელი სამუშაოების გრაფიკს.<br>ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით ექსტერნის გამოცდებისა და რამდენიმე საგნის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები:<br>• ძირითადად დავალებები ტესტურია, ჭარბობს დახურული კითხვები, ხდება მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება, ვერ დგინდება მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ერთიანი ფორმით არის გაკეთებული, ძირითადად ზოგადია, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლევა პრობლემების იდენტიფიცირების ან მისი გადაჭრის საშუალებას.

მიმდინარე წლის 15-23 მარტს, სკოლაში ჩატარდა ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/ კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასებში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდები. მონაწილეობა მიიღო **6 მოსწავლემ.** აქედან **3 დაწყებითი** საფეხურის მოსწავლეა **3 საშუალო საფეხურის.** ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა საშუალო საფეხურის მოსწავლეების საგამოცდო შედეგები, რამაც განაპირობა მათი პირადი საქმეებისა და სხვა თანმდევი დოკუმენტის შესწავლის აუცილებლობა.

შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა მთელი რიგი შეუსაბამობა. მაგ: ერთ-ერთი მოსწავლის (უცხო ქვეყნის მოქალაქე) პირად საქმეში დევს მე-5 კლასში მისი სტატუსის შეჩერების (09.02.2017 წელი) და 2018 წლის 7 თებერვალს ამავე კლასიდან ამორიცხვის ბრძანება. მის პირად საქმეში ფიქსირდება ჩანაწერი ფანქრით, რომ მოსწავლე ჩარჩენილია მეხუთე კლასში. 2018 წლის 8 თებერვალს სკოლაში მოსულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება 5 საგანში და სკოლამ ინდივიდუალური გეგმების საფუძველზე მიიღო მე-10 კლასში. ინდივიდუალური გეგმები არის ძალიან ზოგადი, ამასთანავე, მოსწავლესთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ იგი ვერ ფლობს ქართულს იმ დონეზე, რომ შეიძინოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები, ასევე, მისსავე ინდივიდუალურ გეგმაში გაწერილ გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებში აღწერილი უნარები (დანართი N1 მოსწავლის პირადი საქმე Nა/68). ერთ-ერთ მოსწავლეს ექსტერნის წესით გამოცდა ჩაბარებული აქვს IX კლასის მეორე, X კლასი მთლიანად და XI კლასის პირველი სემესტრით განსაზღვრული პროგრამისთ განსაზღვრული საგნები. სკოლის დირექტორის მიერ **2018 წლის 1 მარტს გამოცემულია ბრძანება N2-07 ექსტერნის ფორმით** გამოცდების ჩატარების განრიგისა და საგამოცდო კომისიის დამტკიცების შესახებ, გამოცდების განრიგში არის დარღვევა. მაგ. ზემოხსენებული მოსწავლის საგამოცდო გრაფიკი და პროცედურა დარღვეულია. მას გამოცდა IX და XI კლასებში დანიშნული აქვს (ქართული, ისტორია და ა.შ) ერთ დღეს, მაშინ როცა არ აქვს სრულად ჩაბარებული მეცხრე კლასის პროგრამა და არ არის ოფიციალური დადასტურება მისი წარმატებით დაძლევისა და მეათეკლასის გამოცდებზე დაშვების შესახებ. იმავე მოსწავლეს, X კლასის გამოცდა, დანიშნული აქვს XI კლასის გამოცდის ჩაბარებიდან მესამე დღეს. არსად დასტურდება მეცხრე და მეათე კლასების დაძლევისა და შემდგომ კლასში გადასვლის უფლება (დანართი N2 სკოლა-გიმნაზიის ბრძანება გამოცდების ჩატარების განრიგისა და კომისიის დამტკიცების შესახებ).

შერჩევითი წესით ქიმიაში შესრულებული შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ შემაჯამებელ დავალებაში მითითებული ინდიკატორების ამოქმედება აღნიშნული დავალების შესრულებით შეუძლებელი იქნებოდა. მაგ.: VIII-X-XI კლასებში ქიმიის შემაჯამებელი ტესტური დავალებით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | განსაზღვრული იყო მინიმალური ფაქტობრივი ცოდნა. მოსწავლეს უნდა შემოეხაზა სწორი ვარიანტი. მასწავლებელს არ ჰქონდა სრულად წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა. გასაუბრების შედეგად, მან აგვიხსნა, რომ ერთი შემაჯამებელი დავალება ზეპირი გამოკითხვით შეაფასა, თუმცა მას არც ამ დავალების საკითხები ჰქონდა და არც - შეფასების რუბრიკი და ინდიკატორები. ამავე საგანში აბსოლუტურ აცდენაშია ერთმანეთთან არაქართულენოვანი მოსწავლის ინდივიდუალური გეგმის მიზნები და შემაჯამებელი დავალების შედეგები. იგივე მდგომარეობაა სხვა საგნებში. ბიოლოგიის და ისტორიის მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ არაქართულენოვან მოსწავლეებთან უჭირთ აზროვნების დაბალ უნარებზე გასვლაც კი (დანართი N3 შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და ტესტები).<br>სკოლის პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან ერთობლივად განვიხილეთ როგორც მოსწავლეთა მიერ შესრულებული ტესტები და დავალებები, ისე საგნობრივი სტანდარტები და ინდიკატორები. ყველას მიეცა რეკომენდაცია ყურადღება გაემახვილებინათ საგნობრივი სტანდარტების ინდიკატორების ასახვესა და შემოწმების მექანიზმზე შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრის დროს.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა ბოლომდე ვერ პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს რაც საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| დადასტურება /დანართი | 1. ინტერვიუირება მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან;<br>2. კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოები;<br>3. სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>4. შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზის ფორმები;<br>5. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-07 (01.03. 2018)<br>6. მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები;<br>7. ექსტერნის გამოცდების ტესტების ანალიზი;<br>8. დანართიN1 (16 ფურცელი)<br>9. დანართიN2 (10 ფურცელი)<br>10.დაბართი N3 (19 ფურცელი) |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავიII, მუხლი მე-3, პუნქტი ა),ბ). |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**1.3** სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების დებულება, რომელშიც განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური ჯგუფის (სკოლის ფსიქოლოგი, სპეც. პედაგოგი, ექიმი, სსსმ მოსწავლის დამრიგებელი, მშობლები) მუშაობის პრინციპები, სამუშაო შეხვედრები, ინდივიდუალური მოდიფიცირებული სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს სკოლის წინაშე არსებული ამოცანების შესრულება და ა. შ.<br>ამ ეტაპზე სკოლის სხვადასხვა კლასში ირიცხება 8 სსსმ მოსწავლე. ამ მოსწავლეთათვის შემუშავებულია და ამოქმედებული ინკლუზიური განათლების ცალკეული საგნების მოდიფიცირებული სასწავლო გეგმა, რომელიც შედგენილი იყო წინასწარ ჩამოყალიბებული მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ მათთან მუშაობს სპეცმასწავლებელი.<br>დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს წინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და შემუშავებული აქვს ინდივიდულური გეგმები არაქართულენოვანი, შშმ და უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების მქონე მოსწავლეებისათვის. პრაქტიკულად ისგ-ს შემუშავება ატარებს ფორმალურ ხასიათს, არის ზოგადი და არ არის მორგებული კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებსა და უნარებზე. მაგ.: ერთ მოსწავლეს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება აქვს 9 საგანში, მათ შორის ისტორიაში, არადა ამ მოსწავლეს სკოლაში შემუშავებული აქვს ინდ. გეგმა ისტორიაშიც, თუმცა ამის შესახებ მოსწავლე არ არის ინფორმირებული და არც ის იცის ამ გეგმის მიხედვით რა მოლოდინები უნდა ჰქონდეს (დანართი N4 მოსწავლის პირადი საქმე N67-ა). ზოგიერთი მასწავლებელი საერთოდ არ იცნობს თავისი საგნის ისგ-ს და არ გეგმავს სასწავლო პროგრამას იმის მიხედვით, რაც ასახულია შემაჯამებელი დავალებების ფორმასა და საკითხებზე. |
| დადასტურება /დანართი | 1. სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. ინდივიდუალური სასწავლო გემმა/ჩარჩო;<br>3. ინკლუზიური განათლების კონცეფცია;<br>4. დანართი N4 (19 ფურცელი)<br>5. ინტერვიუირება. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავიII, მუხლი მე-3, პუნქტი - გ) |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

**1.4** სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა. ამასთანავე, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დამლევისა და სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპები. შემუშავებულია შეფასების სქემები, რუბრიკები საგნების მიხედვით, რომლებიც გამოკრულია საკლასო ოთახებში.<br>არაქართულენოვანი მოსწავლეების პირადი საქმეების დათვალიერებითა და ექსტერნატის ფორმით დამლევის გამოცდის შედეგების გაცნობით დადგინდა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველ მათგანს წარმატებით აქვს დამლეული ცალკეული კლასი/კლასების პროგრამები, არც ერთ მათგანს არ დასჭირდა წლის გამეორება ცალკეულ საგანში/საგნებში.<br><u>შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ არც ერთ შემაჯამებელ დავალებას არ ახლავს თან შეფასების რუბრიკა, მოსწავლეებმა არ იციან კონკრეტული შემაჯამებელი დავალებით საგნობრივი სტანდარტის რა შედეგი იზომება, რა მიღწევები აქვს თითოეულ მათგანს და ა.შ. (დანართი N5 შემაჯამებელი დავალებები)</u> |
| დადასტურება /დანართი | 1. ინტერვიუირება;<br>2. სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>3. შემაჯამებელი დავალებები;<br>4. ექსტერნის გამოცდების ტესტები;<br>5. დანართი N5 (13 ფურცელი) |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების IIთავის, მე-3 მუხლის დ) - პუნქტი. |

**1.5** შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობელთათვის ფუნქციონირებს შეტყობინების მესიჯური სისტემა. სოციალურ ქსელში მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც მიზნობრივად თავსდება მოსწავლის მშობლისათვის დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

| | |
|---|---|
| | საკითხი, რაც უზრუნველყოფს მშობლის აბსოლუტურ ინფორმირებულობას საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებისა და აქტივობების შესახებ.<br>სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. დამრიგებლები ყოველდღიურად უკავშირდებიან მშობლებს და აწვდიან ინფორმაციას შვილების გაცდენა/ დაგვიანების, აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური გადაცდომების შესახებ. |
| დადასტურება/დანართი | • ინტერვიურებით<br>• მოსწავლისაკადემიურიმოსწრების, მშობელთანურთიერთობისადამშობლისინფორმირებისშესახებდებულებით;<br>• სადამრიდებლო/საკურატოროპროგრამებითადადებულებით<br>• სოციალურიქსელითhttps://www.facebook.com<br>• ელექტრონულიმიმოწერით www magtifun.ge |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავიII, მუხლი მე-3, პუნქტი - ე); |

**1.6** შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლაში ფუქციონირებს შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი, რომლის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესში არსებული სუსტი მხარეების აღმოჩენას, მიღებული მონაცემების ანალიზსა და შემდგომ კვლევის ჩატარების საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების განსაზღვრას, ითვალისწინებს სასწავლო გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგს, ხარისხზე ზრუნვასა და მის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა აქტივობის ჩატარებას; გაწერილია შიდაკონტროლის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილების მოსმენასა და ანალიზს. მოსწვლეთა მიღწეული შედეგების კვლევას არა მარტო რაოდენობრივად, არამედ თვისობრივადაც. |
| **დადასტურება/დანართი** | • სასკოლოსასწავლოგეგმა |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

| | |
|---|---|
| | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა<br>• ინტერვიურება<br>• შეფასებისადამონიტორინგისჯგუფისპორთფოლიო. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და ნეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრისN99/ნ ბრძანების თავიII, მუხლი მე-3, პუნქტი - 3 |

## II. მატერიალურირესურსი

**2.1** დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულება მდებარეობს თბილისში, არდაზიანის ქ. N 8. გარეთა ფასადით ორსართულიანია, ვიზუალური დათვალიერებით კი ოთხსართულიანი შენობა-ნაგებობაა, რომელიც არის შპს სკოლა გიმნაზია 'პირველის" საკუთრება. შენობა-ნაგებობა გარემონტებულია 2014 წელს. მიწის დაზუსტებული ფართობია 397.00 დამასზე მდებარე შენობა-ნაგებობა **882,60**კვ.მ.<br>**დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

| | |
|---|---|
| | <table><tr><th>№</th><th>მისამართი</th><th>კვ.მ.</th></tr><tr><td></td><td>არდაზიანის ქუჩა 8</td><td>მიწის დაზუსტებული ფართობია **397.00**</td></tr><tr><td></td><td></td><td>შენობა-ნაგებობის საერთო ფართი **882,60კვ.მ,**</td></tr></table> სკოლა აღნიშნულ მისამართზე საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს 2015 წლიდან. თავისი არსებობის მანძილზე დაწესებულებამ რამდენჯერმე შეიცვალა მისამართი, რაც, რა თქმა უნდა, ხელისშემშლელი ფაქტორია სრულყოფილად საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის. თუმცა მოახერხა და **დღე ჰყავს 156 მოსწავლე და 58 თანამშრომელი.** |
| მიწის (უძრავიქონების) საკადასტრო კოდი | **№ 01.10.12.009.013** |
| დადასტურება/დანართი | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>2. ვიზუალური დათვალიერება;<br>3. შენობა-ნაგებობის შიდა მოწყობის გეგმა. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ა.ა. |

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

| | |
|---|---|
| აღწერა | შენობა-ნაგებობაში, სადაც განთავსებულია სკოლა გიმნაზია „პირველი", განსაზღრულია **16 საკლასო ოთახი.** აქედან ერთ-ერთ საკლასო ოთახში არის კომპიუტერული კლასი, მუსიკისა და ცეკვის გაკვეთილები კი ტარდება ერთ საკლასო ოთახში, რომელიც სააქტო დარბაზის ფუნქციასაც ითავსებს.<br>დაწესებულებაში, ამასთანავე, ფუნქციონირებს ექიმისა და ფსიქოლოგის კაბინეტები (რემედიაციის ოთახი), ბიბლიოთეკა თავისი სამკითხველოთი, მასწავლებლებისა და საქმისმწარმოებლისათვის განკუთვნილი ოთახი და დირექტორის კაბინეტი. პირველ |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

| | |
|---|---|
| | სართულზე (ნახაზით სარდაფია) გამოყოფილია ერთი ოთახი საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიისათვის, რომელსაც, მართალია, ბუნებრივი განათება და სარკმელი არ აქვს, მაგრამ გამწოვითა და სველი წერტილით უზრუნველყოფილია. აქვეა გასახდელი (გარდერობი), ერთი საკლასო ოთახი, რომელსაც იყენებენ სპორტის გაკვეთილებისათვის და სამზარეულო - სასადილო.<br>ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია **248 ინდივიდუალური მერხითა და სკამით,** მასწავლებლის მაგიდებით, სასკოლო დაფებითა და შესაბამისი თვალსაჩინოებით. დამატებით სკოლას აქვს **11 ორადგილიანი მაგიდა და 33 სკამი** ( დასაწყობებული). საბოლოო ჯამში სკოლას აქვს **259 მერხი და 281 სკამი.** |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება.. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ა.ბ. |

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე აქვს განსაზღვრული სპორტული გაკვეთილებისათვის ერთი საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო სპორტული ინვენტარით. ესენია: ტატამი, ბირტი, ლაპცები, მსხალი, ჟეზიები, კარატეს ფორმა. ამ ეტაპზე სკოლას არჩეული აქვს სპორტის შემდეგი სახეობები: **ჭადრაკი, ლათინო-ამერიკული ცეკვები და კარატე.** |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება,<br>2. დირექტორთან გასაუბრება;<br>3. 2016-2017 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ა.გ. |

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია შენობის პირველ |

| | |
|---|---|
| | სართულზე. ამასთანვე, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესასწავლად 1 კლას-ლაბორატორია (კაბინეტი), რომელშიც პარალელურად ტარდება სხვა საგნის გაკვეთილებიც. |
| დადასტურება/დანართი | 1. საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურები;<br>2. სასაქონლო ზედნადებები;<br>3. მიღება - ჩაბარბის აქტები;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ა.დ. |

**2.2** სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო; ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (1500 კვ.ატი გენერატორი), ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. მხოლოდ 3 ოთახს, რომლებიც განთავსებულია მეოთხე სართულზე (ნახაზით სხვენი), აქვს პატარა სარკმელები, რის გამოც ბუნებრივ განათებასთან ერთად ესაჭიროება ხელოვნური განათებაც. ოთახებში შეყვანილია ინდივიდუალური ბუნებრივი გათბობის ქსელი (ბუნებრივი აირის გათიშვის ან ე.წ. საავარიო სიტუაციის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფილია **ელექრტო გამათბობელებით.** სკოლის სამ სართულზე არის სველი წერტილები(თითოზე ორ-ორი) ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის. |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ელექტრო ენერგიის, გაზისა და წყლის დანახარჯთა გადახდის ქვითრები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ბ. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**2.3** სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში წიგნების საერთო რაოდენობაა 2 549 **მხატვრული და შემეცნებითი ლიტერტურა, ჟურნალ-გაზეთები კი -242.** ბიბლიოთეკაში არის ყველა კლასისა და საგნის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. წიგნები დალაგებულია საგნების მიხედვით თაროებზე და დამუშავებულია საბიბლიოთეკო უნივერსალური ათ<br>წლიანი კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის გაიდლაინით - ასოციაციის დოკუმენტების შეკრებისა და სისტემატიზაციის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის წესით. ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: 09:30 -17:00 საათამდე. |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ბიბლიოთეკის დებულება;<br>3. ჩუქების ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარბის აქტები;<br>4. საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურები;<br>5. სასაქონლო ზედნადებები |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი გ. |

**2.4** სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შექმნილი აქვს მათთვის ხელმისაწვდომი გარემო, რისთვისაც შენობაში პირველი სართულიდან მეოთხე სართულამდე ასასვლელ კიბეებზე მოწყობილია ხის მოძრავი (ასაკეცი) პანდუსი. აღნიშნული სერვისით მოსწავლეს დაუბრკოლებლად შეუძლია გადაადგილება შენობის ოთხივე სართულზე.<br>სკოლას ამჟამად ჰყავს 8 სსსმ მოსწავლე, მათთვის განსაზღვრულია რემედიაციის ოთახი მოსასვენებლად) მე-2 და მე-3 სართულებზე კი ადაპტირებული სველი წერტილები. |
| დადასტურება/დანართი | 1. საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურები; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

| | |
|---|---|
| | 2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი დ. |

**2.5** სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად აქვთ: 7 ცალი პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც განლაგებულია ერთ საკლასო ოთახში , 4 ცალი „ნოუთბუკი" და 4 ცალი ბუკი. ყველა ჩამოთვლილი კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში.<br>გარდა კომპიუტერებისა, სკოლას აქვს 1 ცალი მულტივიდეო პროექტორი, 4 სხვადახვა სახის პრინტერი და ქსეროქსის აპარატი.<br>სკოლის ვებგვერდი http://school-pirveli.edu.ge და სოციალური ქსელი www.facebook.com ასრულებენ როგორც საინფორაციო, ისე საკომუნიკაციო ფუნქციას. |
| დადასტურება/დანართი | 1. საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურები;<br>2. სასაქონლო ზედნადებები;<br>3. მიღება - ჩაბარბის აქტები;<br>4. ვებგვერდით - http://school-pirveli.edu.ge<br>5. ვიზუალური დათვალიერები |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ე. |

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარ საწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს ხანძაარსაწინააღმდეგო მოწყბილობებით აღჭურვილი ე.წ. 'წითელი |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

| | |
|---|---|
| | სტენდი, რომელზეც განთავსებულია კონუსის ფორმის ორი სათლი (ვედრო), ძალაყინი, წერაქვი, ნიჩაბი, კაუჭი. შენობის სამივე სართულსა და ე.წ. სხვენზე (IV სართული) დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები და ოპტიკური კვამლის დეტექტორები, რომლებიც უზრუნველყოფს პირველად საგანგაშო გაფრთხილებას არა მარტო ცეცხლის, არამედ კვამლის გაჩენის შემთხვევაშიც კი, რაც ავტომატურად ეცნობება შინაგან საქმეთა სამინისტროს.<br>ამასთანავე, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების რეკომენდაციები და მექანიზმები ხანძრისა და ბუნებრივი კატაკლიზმების დროს . კერძოდ, პირველივე საგანგაშო ინფორმაციის მიღებისთანავე 112-ის გამოძახების პარალელურად დაირეკება ერთი გრძელი და სამი გაბმული განგაშის ზარი, გამოირთვება ელგაყვანილობა და წყალი, ამასთანავე, წინასწარ განსაზღვრული ევაკუაციის გეგმის მიხედვით უმოკლეს დროში დაიცლება სკოლის შენობა. |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება,<br>1. ხელშეკრულებები;<br>2. საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, თავი II, მუხლი 4, პუნქტი ვ.ა. |

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

| | |
|---|---|
| აღწერა | სართულების მიხედვით გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, საევაკუაციო მინიშნებები და უსაფრთხოების მექანიზმები (მიწისძვრა. წყალდიდობა) |
| დადასტურება/დანართი | 3. ხელშეკრულებები;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, თავი II, მუხლი 4, პუნქტი ვ.ბ. |

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას ჰყავს ექიმი-პედიატრი არის სამედიცინო ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია ე.წ. „ტაფჩანით“ (ფიქსირებადი საწოლით), წნევისა და სიცხის საზომებით, წამლებითა და პირველადი დახმარების საშუალებებით.თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ფერადი ფოტოებით გამდიდრებული პირველადი(აუცილებელი) დახმარების აღმოჩენის წესებისა და მეთოდებიას ამსახველი ფოტო-პლაკატები.<br>დერეფანში რამდენიმე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია წითელი ციფრებით სასწრაფო დახმარების ნომრები. |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. მოსწავლეთა ანკეტები;<br>3. გახარჯული მასალების აღრიცხვის ჟურნალი.<br>4. სასაქონლო ზედნადებები; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, თავი II, მუხლი 4, პუნქტი ვ.გ. |

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | უნდა აღინიშნოს, რომ დირექციის მხრიდან სათანადოდ კონტროლდება საგაკვეთილო პროცესი და გაკვეთილებს შორის დასვენებები:<br>• სკოლა იკეტება დილის $9^{30}$ -დან $17^{00}$ საათამდე<br>• შემოსასვლელს აკონტროლებს ე.წ. კარისკაცი;<br>• სკოლის საგაკვეთილო პროცესში წესრიგს აკონტროლებს კლასის კურატორი;<br>• დაგვიანებული მოსწავლე გაკვეთილის დასრულებამდე იცდის შემოსასვლელში „კარის კაცთან“;<br>• შესვენების დროს მოსწავლეებს აკონტროლებენ მორიგე მასწავლებელი მორიგეობის სია გამოკრულია სართულების მიხედვით; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

| | |
|---|---|
| | მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა<br>• წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია მოქმედებს შინაგანაწესში გაწერილი მუხლების შესაბამისად. |
| დადასტურება/დანართი | 1. ხელშეკრულებები;<br>2. საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურები;<br>3. სასაქონლო ზედნადებები;<br>4. მიღება - ჩაბარბის აქტები;<br>5. მორიგეობის განრიგი;<br>6. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ვ.დ. |

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას დამონტაჯებული აქვს 4 უსაფრთხოების კამერა, (ოთხივე სართულის დერეფანში) 7 ვიდეო თვალი VII-XI კლასების საკლასო ოთახებში, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე (2 3 მეგაპიქსელიანი) პერიმეტრის კონტროლს და, რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქ. შინაგან საქმეთა მინისტრის |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

| | |
|---|---|
| | 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება- ექსპლოატაციის წესებს. |
| დადასტურება/დანართი | 1. ხელშეკრულებები;<br>2. საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურები;<br>3. სასაქონლო ზედნადებები;<br>4. მიღება - ჩაბარების აქტები;<br>5. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ვ.ე. |

**2.7** სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანა წესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და დებულება, რომლებითაც ხდება გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვის და წარმართვის პროცედურების რეგულირება და მართვა. |
| დადასტურება/დანართი | 1. წესდება;<br>2. შინაგანაწესი;<br>3. დებულებები |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ზ. |

**2.8** შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარედაწესებულებისმისიიდან, რაც ასევე, ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

**მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**

| | |
|---|---|
| აღწერა | ჩვენ მიერ გადამოწმებული იქნა სკოლის ავტორიზაციის მომენტიდან დღემდე სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმები წლების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ სკოლა, ვიდრე აღნიშნულ მისამართზე დამკვიდრდებოდა,ქალაქის სხვადასხვა შენობაში ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას, რაც გამოწვევების წინაშე აყენებდა, ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულებას.<br>სკოლის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ითვალისწინებს როგორც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, ისე და მოსწავლეთა მიღწევებისა და საგანმანათლებლო პროგრამებისა შეფასების მექანიზმების დახვეწას. |
| დადასტურება/დანართი | 1. სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>2. გრძელვადიანი/ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>3. ინტერვიურება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი თ. |

**2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, რისთვისაც არსებობს: ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები, ხელშეკრულებების რეგისტრაციისა და თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალები, მოსწავლეთა ჩანაწერის ანბანური წიგნი, მოსწავლეთა გაცდენების გამო საგნების ექსტერნის ფორმით ჩაბარების აღრიცხვისა და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის აღრიცხვის ჟურნალებით. |
| დადასტურება/დანართი | 1. საქმისწარმოების წესი;<br>2. შემოსული და გასული კორესპონდენცია; |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე

| | |
|---|---|
| | 3. ხელშეკრულებათა რეგისტრაციის, გამოცემული ბრძანებების და პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმების აღრიცხის ელექტრონული ჟურნალები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ", თავი II, მუხლი 4, პუნქტი ი. |

## IV. საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესრულება

**4.1** მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალები

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულება აწარმოებს მოსწავლეთა აღრიცხვის საკლასო ჟურნალებს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის ჟურნალში ინფორმაციის შეტანა ხორციელდება ყოველდღიურად ნიშნის დაწერის დღესვე.<br>X-XI კლასის ჟურნალების დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ შენიშვნების გვერდზე ხშირად არის დაფიქსირებული შეცდომები. ფურცლებზე ამოშლილი და წაშლილია არა მარტო ნიშნები, არამედ მოსწავლის მიერ გაცდენილი აღრიცხული გაკვეთილები, ზოგ შემთხვევაში, მაგ.: N3 შემაჯამებელი დავალების გრაფაში (ისტორიის საგანი) მხოლოდ სამი ბავშვის ნიშანია დაფიქსირებული, შემაჯამებელი დავალებისათვის განსაზღვრულ გრაფაში მითითებულია ქიმიის N3 შემაჯამებელი დავალების ჩატარების თარიღი 24.05.2018, თუმცა ყველა გრაფა ცარიელია (დანართი N6 მოსწავლეთა დასწრებისა და შეფასების საკლასო ჟურნალების გვერდებიდან ასლები) .<br>მშობელთათვის სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული მისამართზე ვორდის ფაილში შექმნილი დღიური და შეტყობინების მესიჯური სისტემა, რაც ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი საუკეთესო და სწრაფი საშუალებაა. |
| დადასტურება/დანართი | 1. ინტერვიურება;<br>2. სასწავლო დებულება;<br>3. დანართი N6 მოსწავლეთა დასწრებისა და შეფასების საკლასო ჟურნალების გვერდებიდან ასლი ( 20 ფურცლად ) |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი
მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ზალანჩივაძე

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| შეფასება | დარღვეულია „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 22 აგვისტოს N114/ნ ბრძანება. |

| | |
|---|---|
| სულ დანართი | • დანართი N 1<br>• დანართი N 2<br>• დანართი N 3<br>• დანართი N 4<br>• დანართი N 5<br>• დანართი N 6 მოსწავლეთა დასწრებისა და შეფასების ჟურნალის გვერდების ასლი ( 20 ფურცლად ); |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე: თამარ ამზაშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი: ნინო ბალანჩივაძე